ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5233065

ნომერი: AR1794398

თარიღი : 21.12.2020

გაცემის თარიღი : 22.12.2020

გაცნობის თარიღი : 22.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 113;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ჭელიძე პ/ნ 01008020581
- თბილისი დ.არაყიშვილის II ჩიხი N 11 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. იმისათვის რომ სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს მოთხოვნილ საკითხთან მიმართებაში წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით და გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში, თუკი საპროექტო პანდუსი ცდება საკადასტრო საზღვრებს წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ჩასატარებელ სამშაოებთნ დაკავშირებით, თანდართულ დანართთან ერთად.

2. გაითვალისწინეთ დაცული უნდა იქნას "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკურირეგლამენტის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვარის № 41 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

-.პანდუსის გრძივი მიმართულებით მოწყობილი შემაღლება უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%). საფეხურები უნდა იყოს ყრუ, სწორი და ხორკლიანი ზედაპირით ამასთან გამონაშვერების გარეშე. საფეხურების განივ კიდეებში უნდა მოეწყოს 0,01 მეტრის შემაღლებები. მოაჯირების სიგრძე მარშის სიგრძესთან შედარებით - 0,3 მეტრით მეტი ორივე მხარეს.

შესაბამისად წარმოადგინეთ პანდუსი სქემატური ნახაზები სადაც მითითებული და გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული ყველა ნორმა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია.
შესაბამისად თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.